ეორე წელიწადი — ფასი 5 კაპ. — შაბათი, 18 თიბათვე 1916 წ. — № 135

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი სტრიქონი პეტიტი [illegible] 40 კ. [illegible] 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ქართულ გამომცემელ ამხანაგობა „საქართველო“-ს გამგეობა მწუხარებით აუწყებს წევრებს, რომ 16 თიბათვეს, საღამოს 5 საათზე, უეცრად გარდაიცვალა ამ საზოგადოების დამფუძნებელი წევრი

## ალექსანდრე თევდორეს ძე
## ყიფშიძე

---

გაზ. „საქართველოს“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 16 თიბათვეს, საღამოს 5 საათზე უეცრად გარდაიცვალა „საქართველოს“ მახლობელი თანამშრომელი

## ალექსანდრე თევდორეს ძე
## ყიფშიძე

პანაშვიდი ყოველ დღე.

---

გრიგოლ, ზაქარია და ილია თევდორეს ძენი ყიფშიძენი და მათი მეუღლენი—ბარბარე რაფაელის ასული, ეკატერინე ივანეს ასული და ეკატერინე ვილგელმის ასული, ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ივნისის 16-ს უეცრად გარდაიცვალა პირველთა ძვირფასი ძმა და მეორეთა მაზლი

## ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. ყაზბეგის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 37. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—უ—1)

---

ხუთშაბათს, 15 თიბათვეს, საღამოთი უეცრად გარდაიცვალა

## ალექსანდრე თევდორეს ძე
## ყიფშიძე,

რასაც ულრმესის მწუხარებით აცხადებენ განსვენებულის გულმოკლული ძმა ზაქარია თევდორეს ძე და მეუღლე მისი ეკატერინე ივანეს ასული ყიფშიძენი შვილებით.

პანაღვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე (ყაზბეგის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 37). (2—უ—1)

---

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო გულითადის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, წევრებს, რომ ხუთშაბათს, თიბათვის 16-ს უეცრად გარდაიცვალა საზოგადოების საბჭოს წევრი

## ალექსანდრე თევდორეს ძე
## ყიფშიძე

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე (ყაზბეგის ქუჩა, № 37). დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (1—142—1)

---

ივანე, ნიკოლოზ და ანნა ანდრიას ძენი და ასული და ნინო ბესარიონის ასული ყიფშიძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 16 ივნისს, უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

## ალექსანდრე თევდორეს ძე
## ყიფშიძე

1—228—1

---

ევდუქსია თეოდორეს ასული ნადირაძისა და შვილი მისი ანდრია გიორგის ძე ნადირაძე მეუღლითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 16 თიბათვეს უეცრად გარდაიცვალა პირველისა საყვარელი ძმა, ხოლო მეორისა ძვირფასი ბიძა

## ალექსანდრე თეოდორეს ძე
## ყიფშიძე

(1-227-1)

---

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულო იუწყება, რომ დღეს, 18 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე, გადახდილ იქმნება პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის, თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო კომისიის მდივნის და საზოგადო მოღვაწის

## ალექსანდრე თევდორეს ძის
## ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად.

პანაშვიდი გადახდილ იქმნება განსვენებულის ბინაზე (ყაზბეგის ქუჩა, № 37). (1—30—1)

---

ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭო

მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 16 თიბათვეს გარდაიცვალა საბჭოს წევრი, საზოგადო მოღვაწე

## ალექსანდრე თევდორეს ძე
## ყიფშიძე

(1—144—1)

---

საადგილ-მამულო კომისია თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას თავის წევრის დაუღალავ მოღვაწის

## ალექსანდრე თევდორეს ძე
## ყიფშიძის

უეცრივ გარდაცვალებას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაზე (ყაზბეგის ქუჩაზე № 37). გამოსვენება ბინიდან ორშაბათს, 20 თიბათვეს, საღამოს 5½ საათზე დიდუბის ეკლესიაში. წირვა და დაკრძალვა იქვე, სამშაბათს 21 თიბათვეს. (3-231-1)

---

## სახალხო სახლი

**შაბათს, 18 თიბათვეს**

ზ. გომელაური, ვ. აბაშიძის, ივ. სარაჯიშვილის, ი. გრიშაშვილის, ალ. იმედაშვილისა, ი. ზარდალიშვილის, ო. აგასოვის და სხვათა მონაწილეობით გამართავს დიდ **სალიტერატურო-სამუსიკო და იუმორისტულ**

## საღამოს

1\.
**ვ. აბაშიძის და ალ. იმედაშვილის** მონაწ. წარმ. იქნება

**არც აქეთ არც იქით.**

2\.
**ივ. სარაჯიშვილი**

იმღერებს ჯაბადარის ახალ ქართულ რომანსებს, რომელნიც ჯერ არსად არ უმღერია და აგრეთვე სხვა რომანსებს.

**ქ-ნი ო. აგასოვისა**

იმღერებს არიას ოპერა ლაკმედან და რომანსებს. აკომპანიმენტს დაუკრავს ქ-ნი ო. როვენსკაია.

3\.
ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ბეგლარიძე

წაიკითხავენ საკუთარ ლექსებს.

**ი. ზარდალიშვილი** წაიკითხავს ურიულ სცენებს.

**მიიღებენ აგრეთვე მონაწილეობას შ. ხონელი, მ. სარაული, დაროშვილი და ძიმისტარაშვილი.**

4\.
თბ. ვაჟთა მომღერალ-მგალობ. გუნდი **ილ. გოძიაშვილის** ლოტბ. იმღერებენ სხვა და სხვა სიმღერებს. გუნდი შეასრულებს **სათამაშოს, დაფით, დაირით და ნაღარით,** ითამაშებენ გლეხურად.

**ადგილების ფასი 2 მ-დან 30 კ-მდე.** (2-140-1)

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე**

გამგე **ზ. გომელაური.**

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

**შაბათს 17 თიბათვეს** ქართველ მსახიობთა მიერ, **ტასო აბაშიძის, და იუზა ზარდალიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

1\.
**უგედური დებიუტი**

კომ. ბ. ახოსპირელისა

2\.
**სოფლის ფერშალი**

შარჟი 1 მოქ.

დასასრულ **ი. ზირდალიშვილი** წაიკითხავს ფუტურისტულ ლექსებს

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

სტუმრები საზოგადო წესით. — წარმოდგენაზე შესვლა უფასოა

(1-143-1)

---

## ვაგზლის სამკურნალოში

**(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)**

## სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

---

## სავაჭრო სახლი
## „ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

## ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

---

ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

## კახური ღვინო

განთვის ქუჩა № 4.

——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———

(185—წ.)

---

ქ. ბაქოში

## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**

(112—წ.)

---

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასშ**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) — ტელეფონი 5—96.

---

საუკეთესო კახური

## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

---

## ვამზადებთ

**პიროვნით** ხელმისაწვდომ ფასებში

## პრაპორშჩიკთა
## შკოლისათვის

მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.

**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. — 25—128—5

---

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**

**ექიმი**

## ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

## ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

---

**ექიმი**

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

---

**დ. ზესტაფონში**

## ექიმი
## დ. პ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

---

**ექიმი**

## მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს თიბათვის 15-დან

## იღებს მანგლისში

კორპუსის ბანაკში

---

**კბილის ექიმმა**

## მამულაიშვილმა

**(ხოდნევისამ)**

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

---

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

# ალ. ყიფშიძის გარდაცვალება



ალ. ყიფშიძე (ფრონელი)

## ნატეხი დაფნა

გვიყვარს წარსულით თავის ქება, მაგრამ არ გვიყვარს მისი შესწავლა.

წარსულის ძეგლთა დათვალიერება მეტად და მეტად გვეზარება.

მატიანები... მონოგრაფიები... გამოკვლევანი...

ვიცით, არსებობს... მრავალია... მაგრამ შინაარსზე კი მწყრალადა ვართ...

ამ ძეგლთა შორის თუ ვისმე რაიმე ბედნიერება ჰღირსებია, ისევ ორს:

პატარა, მაგრამ მეტად მიმზიდველ ნაშრომს:

„მთიულეთს“...

„კახეთის ამბოხებას“...

არ ვიცი, ვინ როგორ, მაგრამ ჩემზე მათ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს.

რა კარგია, რა საყვარელია აქ ავტორი!

რა სათუთია მისი გრძნობა, მისი კალამი!

გრძნობთ, როგორის სიყვარულით სცდილობს შეგაყვაროთ საგანი აღწერილობისა.

გრძნობთ, მიძინებული გრძნობანი მამულიშვილობისა გააღვიძოს, აафეთქოს ახალის ძალით.

გრძნობთ, როგორ იტანჯება, რამდენად ულირს თვალწინ გადაგიშალოთ მწუხარებისა და წამების პანორამა ჩვენი მახლობელი წარსულისა.

როგორ გამაღლებთ, როგორ გაწრთობთ ბრძოლის ქურაში.

როგორ მოგიხმობთ საყვირითა სამშობლოს შეგინებულ საკურთხეველის დასაცველად, ჩაფერფლილ ნებისყოფის ასანაპერწკლებლად.

ალექსანდრე ბატონიშვილის კაეშნიანი სახე...

შეურიგებელი, საფლავის კარამდე წარბშეკრული არწივი, როგორც მისი მძევალი შავარდენი დიდი შამილი...

აი, მისი ფირმანები...

აი, ლევანიც...

მისი თავისკვეთა ლეკთაგან...

მაგრამ აი, ქართველთვე მოუგალობა...

შეუგნებლობა თვისტომობას... თავის მისსიის...

აი სამშობლოს გულიდან მოწყვეტილი რკინის სარდლები ციციანოვები, ორბელიანები, რომელთა მახვილი სამშობლოს წინააღმდეგვე ამართულა...

როგორ ღელდებით, როგორ გეკუმშებათ მუშტები, რომ ეს უთუოდ ღირსეულნი და მამაცნი სამშობლოსათვის ადრე მოკვდნენ უძღებ შვილსავით.

განთიშულნი სამშობლოს გულიდან ვით გარდიქცნენ მამულიშვილთა გამთიშველად!

ოჰ, რა ულმობელია აქ ავტორი...

როგორ გამოცდილის თვალით გადევნებთ თვალყურს, რომ თქვენი სულის მოძრაობა ამოიცნოს.

იგი გწვრთნით...

გწვრთნით და გზრდით...

ულმობელ სინამდვილის ქურაში აწრთობს და აფოლადებს დაავადებულს თქვენს კუნთებსა.

თქვენ ხდებით მცნობელი სამშობლოს ღირსებისა და მის შვილთა ულირსობის, ეს იმ ულირსობის, რასაც დიდი ხანია ვიცნობთ.

„მოშხამული ფსიხიკის“ სახით!

წაიკითხეთ ეს ორი წიგნი.

წაიკითხეთ ჩვენი ისტორიის სინამდვილე... თვალი გადაავლეთ ამ მშვენიერებისა და უმზგავსოების პანორამას.

დიადი ძეგლია ეს ორი წიგნი...

ძეგლი უკვდავი...

როგორც ჩვენი წარსულის, ისე მისი მორიდებული და საყვარელი ავტორისა...

ალექსანდრე ყიფშიძის უმშვენიერეს საფლავის ნატეხი დაფნა...

დ. კასრაძე.

## † ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე

16 თიბათვეს, სალამოს 5 საათზე უეცრად გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე (საშა) თევდორეს ძე ყიფშიძე. იგი სოფლის ღარიბი მღვდლის შვილი იყო. რვა წლის იქნებოდა, როცა მამამ გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. იქ დაამთავრა კურსი 1878 წელს და მაშინვე გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ სწავლობდა მეოთხე კლასამდე და 1883 წელს სემინარიიდან გამოვიდა და აილო სიმწიფის მოწმობა. ახალგაზრდა ალექსანდრე იმავე წელს გაეშურა უნივერსიტეტში, საისტორიო და საფილოლოგიო ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა თბილისს და დაინიშნა თბილისის საგუბერნიო მმართველობის საკრებულოს მდივნად. ეს თანამდებობა მიტომ აირჩია იმან, რომ ხსენებულ დაწესებულების არქივში დიდძალი მასალა მოიპოვებოდა საქართველოს ისტორიისათვის. ახალგაზრდა მოღვაწე არ შემცდარა: იმან მაშინ ზედმიწევნით შეისწავლა როგორც ეხლანდელი მდგომარეობა ქართველ გლეხ-კაცობისა, აგრეთვე ისტორიული მასალები საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ ხანისა. სხვათა შორის სწორედ მაშინდელი დაწერილია განსვენებულის საყურადღებო ნაწარმოები—„მთიულები 1804 წელს“.

დიდი მოძრაობის დროს, 1905 წელს, ალექსანდრე, როგორც ხალხის კარგი მცნობი და გულშემატკივარი, ქუთაისის გუბერნატორის ვ. ა. სტაროსელსკისა და მეფის ნაცვლის თანაშემწის ბ-ნ კრიმ-გირეის სურვილით დანიშნულ იქმნა ქუთაისის ვიცე გუბერნატორად. როგორც ბ-ნი სტაროსელსკი ისე ალ. ყიფშიძეც იმის მომხრენი იყვნენ და მტკიცედაც სწამდათ, რომ ძირითადი ცვლილებანი მშვიდობიანად მოხდებოდა. მათის მეცადინეობით მაშინვე გაუქმებულ იქმნა სამხედრო წესები და ხალხის თავისუფალ მოძრაობას გზა გაეხსნა.

როგორც დამთავრდა მაშინდელი მოძრაობა, ყველამ ვიცით: ალ. ყიფშიძე, ისე როგორც ბ-ნი ვ. სტაროსელსკი, იძულებელი იყო ქუთაისი დაეტოვებინა.

ამის შემდეგ გავიდა კარგა ხანი და თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოსთან დაარსდა საადგილ-მამულო კომისია, რომლის მდივნად მიწვეულ იქმნა ბ-ნი ალექსანდრე. საწყენად არავის დარჩება, თუ ვიტყვით, რომ ამ კომისიის ერთი საუკეთესო სულის ჩამდგმელთაგანი ალექსანდრე ყიფშიძე იყო.

ალ. ყიფშიძემ მწერლობა ახალგაზრდობიდანვე დაიწყო, ჯერ ისევ სემინარიის მოწაფეობის დროს იმ დროს. იმ დროს სემინარიაში მალულად სცემდნენ ყოველ კვირეულ ხელნაწერ ჟურნალს, რომელსაც ერქვა „ნორჩი ტვინი“ და ბ-ნი ალექსანდრე ერთი უმთავრესი თანამშრომელთაგანი იყო ამ ჟურნალისა. რუსეთში წასვლამდე მან გაიცნო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ ახალგაზრდა კაცში ჰხედავდა დიდ ენერგიას. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე გახდა მუდმივი თანამშრომელი მაშინდელ ქართულ დროულ გამოცემისა. ბევრი ნაწერები აქვს განსვენებულს ილიას დროინდელ „ივერია“-ში. მისი ნაწერები მომეტებულ ნაწილად ისტორიული და ეკონომიური ხასიათისაა. იგი სწერდა **თერგ დალეულის**, **ა. ფრონელის** და სხვა ფსევდონიმებით.

ასე უდროვოდ დაკარგვა ასეთ გულწრფელ და ენერგიით აღსავსე საზოგადო მოღვაწისა დიდი დანაკლისია ქართველი ერისათვის.

განისვენე ქართველ ხალხის მოამაგევ: შენს გულწრფელ და ნაყოფიერ მუშაობას არ დაივიწყებს ქართველი ერი.

ლ.

## ალ. ყიფშიძის გარდაცვალების გამო

ალ. ყიფშიძემ 15 თიბათვეს ნაშუალამევის 3 საათზე იმუშავა თავისს კაბინეთში, იმან შეადგინა 2 მოხსენება. ერთი ამათგანი უნდა წარედგინა თავად-აზნაურთა თათბირისათვის 1 მკათათვეს. ამ მოხსენებაში აღწერილია საქართველოს სოფლების ეკონომიურად დაქვეითება და ავტორი არკვევს, თუ რა გზით როგორი ღონისძიებაა საჭირო. მეორე მოხსენება უნდა წარედგინა სამეურნეო ბანკისათვის, რომელსაც ავტორი წინადადებას აძლევს კრედიტი გაუხსნას გომის მემამულეთა სინდიკატს და ფული მისცეს იმ მამულის შესასყიდლად, რომელშიაც ამჟამად მოთავსებულია სინდიკატი.

16 თიბათვეს ალექსანდრე ჩვეულებრივ ადრე წავიდა სამსახურში და ნაშუადღევის $3^1/_2$ საათამდე მუშაობდა. შემდეგ დაბრუნდა თავის სახლში ყაზბეგის ქუჩაზე, მაგრამ, მიუახლოვდა-რა თავის სახლს, უეცრად გული წაუვიდა და დაეცა. ყველაზე ადრე მიეშველა მას იქვე მახლობელი ერთი მოვაჭრე კაცი და ყურების სრესა დაუწყო. შემდეგ იქ შემთხვევით გაჩნდენ ბ-ნი ვას. კახიძე, ექიმი ბელაძე და გრ. ბურჭულაძე. ეს უკანასკნელი მაშინვე გაექანა განსვენებულის ძმასთან, გრიგოლთან, საბურთალოზე, ხოლო ექიმმა ბ-ნმა ბელაძემ სამკურნალო დახმარება სცადა, მაგრამ ამაოდ, საწყალს სისხლი ავარდნოდა ტვინში და მისი მობრუნება შეუძლებელი იყო.

—

გუშინ 17 თიბათვეს, შუა დღის 12 საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოში შეიკრიბნენ გუბერნიის მარშალი თავ. კ. ნ. აფხაზი, თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, მდივანი თავად-აზნაურთა ი. ე. ზურაბიშვილი, საადგილ-მამულო კომისიის თავმჯდომარე ბ. ქურდიანი წევრი იმავე კომისიისა თავ. დ. ვ. ვაჩნაძე და სხ. და ითათბირეს განსვენებულის დაკრძალვის შესახებ. თათბირზე დასწრება კეთილ ინება გორის ეპისკოპოსმა ყოვლადსამღვდელომ ანტონმა და აგრეთვე დაესწრნენ დეკ. კ. ცინცაძე და დეკ. სოლ. შიშიაშვილი. გადაწყდა, რომ განსვენებულის ცხედარი გამოასვენონ მისი ბინიდან (ყაზბეგის ქუჩა, სახლი № 37) ორშაბათს, 20 თიბათვეს, სალამოს $5^1/_2$ საათზე, და მიასვენონ დიდუბის ეკლესიაში. მეორე დღეს, სამშაბათს, 21 თიბათვეს, წირვის შემდეგ ცხედარს დაკრძალვენ იმავე დიდუბის ეკლესიის გალავანში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

— განსვენებულის სახლში (ყაზბეგის ქ., სახ. № 37) ყოველ დღე, სალამოს 7 საათზე, პანაშვიდი იქნება გადახდილი.

საადგილ-მამულო კომისიამ 20-დე დეპეშა დაუგზავნა პროვინციებში სხვა და სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთ და ამცნო საზოგადო მოღვაწის გარდაცვალება.

— გუშინ, 17 თიბათვეს, სალამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოში თათბირი იყო დანიშნული საადგილ-მამულო კომისიის მიერ, რომელზედაც მიწვეულ იყვნენ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და ზოგიერთი საზოგადო მოღვაწენი. თათბირს უნდა შეემუშავებინა წეს-რიგი დაკრძალვისა.

## სამძიმრის დეპეშა

**ქუთაისი.** ღრმად დამწუხრებული ვარ საზოგადო მუშაკის ალექსანდრე ყიფშიძის უდროო გარდაცვალებით. ბედმა არ დააცალა ეხილა თვისი სანუკვარი იდეალების განხორციელება. გულწრფელად თანაუგრძნობ განსვენებულის ნათესაობას და „საქართველოს“ რედაქციას.

ი. პურადაშვილი.

---

**ქუთაისი, 18 თიბათვეს**

**მეაბრეშუმეობა ჩვენში.** საქართველოს ზოგიერთს კუთხეში მეაბრეშუმეობას ძველათგანვე მისდევენ. მეაბრეშუმეობა ჩვენი ქვეყნისთვის შემთხვევითი და სასხვათაშორისო სამეურნეო დარგი როდია. დღეს იგი მტკიცედ არის ფეხმოკიდებული, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში და ჩვენც მეურნეობის ამ დარგისადმი მეტი ყურადღება და მზრუნველობა გვმართებს.

სხვა და სხვა სამეურნეო კულტურისთვის ჩვენი სამშობლო ფრიად ხელშემწყო პირობებს იძლევა. კერძოდ მეაბრეშუმეობასაც ყოველივე მოეპოვება—ზომიერი ჰავა და საკმაო საკვები მცენარეულობა. მიუხედავად ამისა მეაბრეშუმეობა ჩვენში შესაფერად ვერ ვითარდება. ეკონომიურ საქმიანობის ყოველს ასპარეზზე უმწეო და უძლურნი ვართ. ჩვენი მეაბრეშუმეობაც ამასვე განიცდის.

ოთხმოციან წლებში ჩვენს მეაბრეშუმეებს აბრეშუმის თესლი გადაუშენდათ, ახალი, საღი თესლი მათ დროზედ ვერ იშოვეს და ამის გამო ერთ ხანს ჩვენში მეაბრეშუმეობა მეტად დაქვეითდა. ოციოდე წლის წინეთ იწყება ჩვენს ქვეყანაში ამ დარგის გამობრუნება. ქუთაისის, ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრაში არსდება მეაბრეშუმეთა ამხანაგობები, რომელნიც კოოპერატიულ ნიადაგზედ აწყობენ აბრეშუმის მოყვანა-გასაღების საქმეს „შუამავალი“, „კოლხიდა“ და სხ. ცდილობენ დასავლეთ საქართველოში ამ დარგის მოწესრიგებას. ქუთაისის მაზრაში აბრეშუმის საქსოვი ქარხნებიც იხსნება. განსაკუთრებით კარგად მოწყობილი იყო ილინის და ამხ. საქსოვი ქარხანა, რომელიც გაიხსნა 1902 წ. იქ 150 ქალი მუშაობდა. მეაბრეშუმეობა ჩვენში თითქოს მტკიცე ნიადაგზე მყარდება, მკვიდრ საფუძველს პოულობს, მაგრამ მალე იწყება მოძრაობის ხანა და ისეთი ხალხური სამეურნეო წარმოებებიც კი, როგორც მეაბრეშუმეთა კოოპერატივებია, ვერ უძლებენ ამ არევ-დარევის ხანას. ამას ზედ ერთვის ჩვენი საზოგადოების სრული მოუმზადებლობა ეკონომიურ საქმიანობაში და მეაბრეშუმეთა საზოგადოებანი ზოგი უქმდება, ზოგი კი უსიცოცხლო არსებობას განაგრძობს.

ამ უკანასკნელ წლებში მეაბრეშუმეობას თითქოს გამოცოცხლება ეტყობა. ფართოვდება მეაბრეშუმეობის რაიონი. ქუთაისის, ზუგდიდის, ოზურგეთის მაზრები და სოხუმის ოლქს უერთდება შორაპნის, ლეჩხუმის და რაჭის მაზრები, სისტემატიურად მატულობს მაზრაში შემოტანილი პარკის რაოდენობა. ხალხი ეჩვევა აბრეშუმის ჭიის მოვლას და პარკის ხარისხიც უმჯობესდება, მიუხედავად ამისა მეაბრეშუმეობა ჩვენს სამშობლოში მაინც მოუწყობელი და მოუწესრიგებელია. მისი კულტურა პირველ საფეხურზეა. აბრეშუმის მოვლამოშენებას ხალხი მიეჩვია. ეს დარგი მრავალ მაზრაში საერთო ჩვეულებად გარდაიქცა. დამუშავება, ან და წესიერად ამ საქონლის გასაღება კი დღემდის ჩვენი საზოგადოებისთვის უცნობი ხილია. ჩვენი ხალხი ჰქმნის მხოლოდ ნედლ მასალას, პარკს. ის ვერ ახერხებს მის დამუშავებას და ამის გამო მეაბრეშუმეობა ჩვენ ქვეყანას ძლიერ ცოტა შემოსავალს აძლევს. დასავლეთ საქართველოში მოყვანილი პარკი არა ერთს და ორს აბრეშუმის საქსოვ ქარხანას გასწვდებოდა. ჩვენში ასეთი ქარხანა სულ არ მოიპოვება. სამეგრელოში და გურიაში მოყვანილი პარკი უთუოდ განჯელმა სომხებმა უნდა იყიდონ და თავის ქარხანაში აბრეშუმის ქსოვილად აქციონ. ჩვენს ხალხს რჩება მხოლოდ გროში საფასურად, მცირე საფასურად მისი შრომისა და უცხოელს კი—დიდი მოგება. ასე ღიდათ არის განვითარებული ჩვენში მეაბრეშუმეობა, არსებობს საზოგადოებები, კოოპერატივები, თუ სხვა, მაგრამ აქამომდე ჩვენ ვერ მოგვიხერხებია ერთი რიგიანი საქსოვი ქარხნის მოწყობა რომ ჩვენში მოყვანილი პარკის მეორე ნაწილი მაინც ადგილობრივ დავამუშაოთ. ილინის და ამხ. საქსოვი ქარხანაც დიდ ხანს გაუქმებული იყო და მისი საუცხოვო საქსოვი მანქანები გაჩერებული, როდესაც მახლობელ სოფლებში მრავალი ათასი ფუთი პარკი იყიდებოდა ნუხელს და განჯელ მექარხნეებზე. ამ ქარხნის პატრონს. ვგონებ ჯერაც არ გაუსაღებია ეს მა[illegible].

საქსოვი ქარხნების [illegible] ცხადია, რომ [illegible] თანხა და შესაფერი ცოდნა-გამოცდილება. პირველიც და მეორეც იმოდენად ზომიერია საჭირო, რომ დრო არის მოგვეპოვებოდეს. მაგრამ რაკი არ მოგვეპოვება, საჭიროა მცირე რამ ეკონომიური გარჯა და საქმიანობა, რომ აბრეშუმის პარკის გასაღება შესამჩნევად გავაუმჯობესოთ. საქონლის ბაზრის მოპოვებას კი უპირველესი მნიშვნელობა აქვს წარმოების გაფართოებისთვის. რაც უნდა კარგი პირობები იყოს საქონლის დასამზადებლად თუ მისი განაღდება გაძნელებულია, ასეთი წარმოება ვერ იხეირებს. აბრეშუმის ნედლი პარკის გამოხარშვა და გახმობა, რაც მეტად უბრალო საქმეა, დიდად აუმჯობესებს საქონლის გასაღებას. დღეს ბაზარზედ ნედლი პარკი გამოაქვთ. თუ მას სამ-ოთხ დღეზე მეტი დააგვიანდა, პარკიდან პეპელა გამოდის და საქონელი სრულიად ფუჭდება. ჩვენი მეაბრეშუმეები კი ხშირად ასსა და უფრო მეტს ვერსზე ეზიდებიან ცხენით და ურემით გამოუხრჩობელ პარკს. რა გასაკვირველია, რომ ასეთს პირობებში გამყიდველი იძულებულია რაც უნდა მცირე ფასი შეაძლიონ, პარკი გაჰყიდოს. ერთი და ორი დღის დაგვიანება მას საქონელს სრულიად უღუპავს.

გამოხრჩობილი და გამხმარი პარკი კი შეიძლება წლობით შეინახოთ. უკეთეს მაზანდას მოუცადოთ. შორეულ ვაჭართან დაიჭიროთ საქმე და რიგიან პირობებში გაასაღოთ და განა ძნელი ჯდება ამ საქმის მოწყობა? ასი თუ ორასი მანეთით შეიძლება ამის მოწყობა. მისი მოწყობა ყოველს სოფელში მოხერხდება, ამას არავითარი განსაკუთრებული იარაღები და ცოდნა არ უნდა, ყოველს სამ-ოთხმა სოფელმა ასეთი პარკის სახრჩობი და ბოძები რომ მოაწყოს, ჩვენი პარკის გასაღების საქმე მეტად გაუმჯობესდება. თვით ეს დარგი ჩვენი ხალხისთვის უფრო მომგებიანი იქნება და ამის გამო ეს წარმოებაც უფრო გაფართოვდება. ამას გარდა მეტად მწვავე კითხვაა ჩვენი მეაბრეშუმეობისთვის თესლის უქონლობა. თესლის გაწმენდა კი ფრიად უბრალო რამ არის ამისთვის არც ცოდნაა დიდი საჭირო და არც სახსარი...

ხშირად ასეთი მცირე რამ არისსაჭირო, რომ შესაძლოა რომელიმე მნიშვნელოვანი სამეურნეო დარგი გაუმჯობესდეს მტკიცე ნიადაგზედ დაემყაროს. ჩვენ კი ეს ვერ მოგვიხერხებია. სოფლის ხალხისთვის ძნელია საკუთარის ძალით ყოველივე ასეთი საჭირო საკითხების გაძღოლა. რას აკეთებენ ჩვენი საზოგადოებანი და მრავალრიცხოვანი ჩვენი ინტელიგენცია? რა გააკეთეს მათ ამ მხრივ ამ ოციოდე წლის განმავლობაში? როდესაც გაზაფხულზედ პარკის შემოტანას დაიწყებენ ბაზარში, არსდება კომისიები, რომელნიც თვალყურს ადევნებენ, რომ ვაჭრებმა წონაში არ მოატყუონ გამყიდველნი. აი, რა დამსახურება მიუძღვის ჩვენს ინტელიგენციას ჩვენს მეაბრეშუმეობის წინაშე, ისე როგორც ეკონომიურ ცხოვრების მრავალ სხვა დარგშიაც.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

სტრატეგიისათვის პარადოქსებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მათემატიკური გამოანგარიშება კი დაახლოვებითაც ძნელი არის, არა თუ ზედმიწევნით. რამდენმა სტრატეგმა მოიტეხა ამ მხრივ კისერი. რამდენჯერ ითქვა გერმანელთა ძალღონის ამოწურვის შესახებ, რამდენჯერ დაბეჯითებით და მათემატიკურის სისწორით გვიწინასწარმეტყველებდნენ ფიზიკურად შეუძლებლობას, რომ გერმანელთ განეგრძოთ ტყვია-წამლის უხვი ხარჯვა, რამდენჯერ ითქვა ისიც, აი ეხლა ეს უკანასკნელი გაბრძოლებაა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ყოველი „უკანასკნელი“ ახალს უკანასკნელს მოითხოვდა და ცნობილი მენშიკოვნიც გამუდმებულ იმედების გაცრუებით იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ ყვავილოვან და საილლუზიო წერილებზე: „Должны побѣдить!“ რა მხრითაც უნდა ავიღოთ, შიმშილობაა იგი, იარაღის შემოლევა, ცოცხალი ძალის ამოწურვა, ყოველთვის მოტყუებულნი დავრჩით. ავსტრო-ჰუნგრეთის განადგურების შემდეგ, 1914 წლიდანვე რუსეთის მხედრობის სახელოვანი ლაშქრობა და კარპატის მწვერვალთა გადაქცევა, მთავარი შტაბის ოფიციალი მოხსენება ტყვეთა განსაცვიფრებელ რიცხვის შესახებ, დაცემა სახელოვან ციხეებისა ლვოვისა თუ პერემიშლისა, თითქოს ზღაპრულ იმედებით გვაფრთოვანებდა, რომ ავსტრო-ჰუნგრეთი დღეს არა, ხვალ მაინც კაპიტულიაციაზე ხელს მოაწერდა და სეპარატიულ ზავს დასთანხმდებოდა. მაგრამ საქმის ვითარებამ დაგვანახვა, რომ დამარცხებული და განადგურებული ავსტრია სწრაფად ღონივრდება, იგი თითქოს საფლავებიდან იწვევს დახოცილთა აჩრდილებს, ახალ-ახალი ლეგიონები მხარში ამოუდგებიან გერმანელთ და არა თუ სძლებენ წართმეულ ტერიტორიის დაბრუნებას, პირიქით, რუსეთის გუბერნიათა დაპყრობაშიაც ჰშველიან უფროს ძმებს, ამის გარდა სერბეთისაკენ ილაშქრებენ და იტალიელთაც სათანადო პასუხს აძლევენ. რად მოხდა ასე? ჩვენ ეს საკითხი არ გვაინტერესებს. გვსურს მივუთითოთ იმ გარემოებაზე, თუ რა ძნელია პარადოქსებით კვება ხალხისა, მტრის სისუსტეზე გაცილებით მეტის წარმოდგენა და საკუთარ ძალღონის შეუგნებლობა. არც ერთი ნათქვამი და ნაწინასწარმეტყველევი, როგორც ვსთქვით, არ გაუმართლდათ ბრძოლის ველზე შიგნიდან მაყურებლებს; გერმანეთი, სადაც უნციებით ურიგებდნენ პორციას პურს, დღესაც მშიერი არ მომკვდარა და კრუპის ქარხანაც იმ-

დენს ასწრობს, რომ მაიორ მორატის ამაყ სიტყვების გასამართლების საბუთს აძლევს! „ჩვენ არ გვეჭირვება ერთი ფრონტიდან მეორეზე იარაღის გადატანა, ყოველი ფრონტისთვის საკმაო მასალა და იარაღი გვაქვსო“.

ბრძოლის ორი წლის შემდეგ მტერს ჯერ არ ეტყობა მოღლილობა, მაგრამ ძველი პარადოქსები კი ისევ ძალაშია და ახალ ახალი სახით აყვავილებენ რუსის სამხედრო მიმომხილველნი. უკანასკნელ ხანებში ცოცხალი ძალის ამოწურვა და მაშასადამე მთავარი საფრთხე ძლიერი მტრის შესამუსრავად თითქოს მოახლოვებულია. ოღონდაც! ბრუსილოვის არმიამ დღემდე 205 ათასი კაცი დაატყვევა! თავისთავად ეს ისეთი დიდი რიცხვია, რომ სინამდვილეში ბრძოლის ველიდან უკანასკნელი 600 ათასი კაცი უნდა ვიგულისხმოთ ჩამოცლილად. მაშ დადგა ალსასრული? როგორ ვიფიქროთ?

ეს საკითხი მარტო ჩვენს საკითხს არ შეადგენს. მთელი ქვეყანა გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ამ საკითხს. დადგა სანატრელი დრო?— ამის შესახებ „სამხედრო ენციკლოპედიიდან“ რუსის სამხედრო მიმომხილველთ მოჰყავთ შედარებითი სტატისტიკური ცნობები. ამ ცნობათა მიხედვით თვალწინ გვეშლება ჯერ კიდევ შორეული ძძით მოსილი პანორამა, რომელიც მოითხოვს ახალს მსხვერპლს, ახალს ცრემლს, ახალ ძალების გაწვევას. „სამხედრო ენციკლოპედიიდან“ ამოღებული ცნობების მიხედვით ავსტრო-ჰუნგრელთა კორპუსი შესდგება 57 ათასი მეომრისაგან, თან ახლავთ 108 ზარბაზანი და 144 ტყვიისმფრქვეველი. პროცენტების მხრივ ეს რიცხვი ასე შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ: ავსტრიელებმა ამ ბრძოლაში დაჰკარგეს ათ კორპუსამდე (დაჭრილი, დახოცილი, ტყვედ წამოყვანილი). ეს მაქსიმუმი რიცხვი გახლავთ, რასაც ანგარიშობენ რუსის სამხედრო მიმომხილველნი. არ უნდა დავივიწყოთ აუცილებელი შესწორება ამ ანგარიშში: თქმა არ უნდა, ეს ათი კორპუსი სულ მთლად არის განადგურებული. მოხერხებულმა ხელმძღვანელებმა დაღუპვისაგან იხსნეს მეტი ნაწილი ამ ჯარისა, ოღონდ რა კი დაიშალა, მათ დასჭირდებათ ახალი შევსება, შესწორება. ყოველ შემთხვევაში სჩანს, რომ ერთი მეოთხედი მაინც დაკარგულა, რაც მეტად საგრძნობლად უნდა ჩაითვალოს ავსტრიისათვის.

რას იზავს ეს? იმავე ანგარიშის მიხედვით განადგურებულ კორპუსების შევსება ავსტრიელთ არ გაუჭირდებათ, თუ მხედველობაში მივიღებთ ავსტრიელთა მცხოვრებლების საზოგადო რიცხვს. ყოველ შემთხვევაში ცოცხალი ძალის შევსება არ გაუჭირდება ცენტრალ მოკავშირეებს. რაც შეეხება იარაღს, ამისი შიში არც ჰქონიათ და არც თუ დღესა აქვთ. მაშასადამე რაშია საქმე? რაშია ხსნა? ხსნა უეჭველი ისაა, მოსვენება არ მიეცეს მტერს მოფიქრებისა და ჯარების შევსებისა. ერთი სიტყვით, საკუთარი ძალღონის კარნახი თუ კი იმდენად შესაძლებლად სცნობს, რომ დიდი ზარალითაც შეგვეძლება გამარჯვება, დახანებაზე ფიქრი ოდნავაც არ უნდა გვაფერხებდეს. რომ ზღაპრულმა დრაკონმა მოკვეთილს თავების ადგილას ახალ-ახალი არ ამოუშვას. არავითარი დრო მოფიქრებისა და ჯართა რეორგანიზაციის მოხდენისა არ უნდა მიეცეს. ესაა სინამდვილე, რომელიც სასტიკი სახით გამოიყურება და მსხვერპლს ითხოვს, მსხვერპლს დიადს, საღმრთოს) მაგრამ გამარჯვებისას. და რომ ეს კარგად შეუგნია მთავარ შტაბს, სჩანს იქიდან, რომ გენერალი ლეჩიცკის მეთაურობით ახალი გამარჯვებისკენ გადადგა ნაბიჯი და ათი ათასზე მეტი ტყვე კიდევ წამოიყვანეს. არავითარი კეთილგონიერება და მისი კარნახი არ შეიძლება შეიწყნაროს შტაბმა: მტერს უნდა სდიონ, ვიდრე ეს შესაძლებელია.

X.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 16 თიბათვე. დასავლეთი ასპარეზი. გუში, 15 თიბათვეს, საარტილერიო მზადების შემდეგ გენერალ ლეჩიცკის ჯარმა მტერს დიდი დი ზარალი მიაყენა მდ. დნესტრსა და პრუტის შუა, მიუხედავად მოპირდაპირის მკაცრი წინაალმდეგობისა. აქ სამი წყება თხრილები ვიგდეთ ხელთ. დიდი ბრძოლა მოხდა მდ. ჩერნოვიცის (დნესტრის ტოტია) და მდ. ჩერნიავის (პრუტის ტოტია) ხაზით და ქალაქ კუტის მიდამოებში შეთანხმებული მოქმედებით ყველა ყალიბის იარაღის წყალობით მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. გუშინ საღამოს 7 საათამდე ერთი დღის განმავლობაში დავთვალეთ ტყვედ წამოყვანილი 221 აფიცერი და 10.285 ჯარის კაცი. ხელთ ვიგდეთ მრავალი ტყვიის მფრქვეველი. ერთმა ჩვენმა პოლკმა მე-4 მძიმე აზარბაზნის ბატარეია მოწყობილობით იგდო ხელთ. 22 მაისიდან უკანასკნელ დღემდე სულ 205 ათასი კაცი დავატყვევეთ, ამათში ოფიცრებიც შედიან. ბუკოვინის და გალიციის ასპარეზებზე საარტილერიო ბრძოლაა. ვოლინის მიდამოებში სოფ. ლინევკასთან (მდ. სტოხოდზეა) სასტიკი ბრძოლა გრძელდება. მდინ. დვინის ხაზით მტრის არტილერიამ გააცხოველა სროლა იქსკიულის სიმაგრეებთან იაკობშტადტის და ლივენგოფის მიდამოებში. 15 თიბათვეს გათენებისას საარტილერიო ბრძოლის შემდეგ სოფ. საკოვიჩ, სელცე და ბოგუშონის ტყის (კრევის ჩრდილო - აღმოსავლეთით) თხრილებთან მტერმა შემოგვიტია, რომელიც თოფის სროლით მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ერძინჯანის მიმართულებით ღამე ოსმალებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ მოვიგერიეთ. ბაღდადის მიმართულებით შუადღის შემდეგ ოსმალებმა გაძლიერებული ძალით იერიში მოიტანეს კერინდთან, მაგრამ არტილერიის საშუალებით მოვიგერიეთ.

**შენიშვნა.** პულკარნის ჩრდილო-დასავლეთით (რიგასთან) ბრძოლაში თავა ისახელა ციმბირის ერთმა როტამ. მტრის არტილერია სულ გაანადგურა, ის თხრილები, სადაც ეს როტა იყო, მაგრამ გადირჩენილებმა პრაპორშჩიკ იბერტინსკის მეთაურობით თხრილები არ მიატოვეს და ვიდრე მაშველი ჯარი მოვიდოდნენ, ხიშტებით იგერიებდნენ მტერს. ამ ბრძოლაში როტამ ორი აფიცერი და მისი ნახევარი ჯარი დაჰკარგა დახოცილი. ამავე როტის პრაპ. სოლოდოვნიკოვი დასჭრეს. პოლკოვნიკი ივანოვი მუჟიევი დაშავდა, მაგრამ ისევ ჯარში დარჩა.

—

**ლონდონი,** 15 თიბათვე. ინგლისის შტაბის ცნობა. გუშინ ღამით, მოპირდაპირეთა თხრილებს თავს დავესხით და დიდად დავაზიანეთ. ანგარის თხრილები ჩვენი შრაპნელის ცეცხლმა გაანადგურა. ვერმელ-ლა-ბასეს გზასთან დავატყვევეთ 46 კაცი, დავლად წამოვიღეთ 2 ტყვიისმფრქველი, და 2 სანაღმო გალერეია. მტერმა ჰევშაპელის და გიულიურის ახლოს ნაღმები ააფეთქა.

**პარიზი.** დღის ოფიციალი. შამპანში, ტაგიურის ახლოს, მენილის ბორცვის დასავლეთით, გლებუ თხრილები გავანთავისუფლეთ მოპირდაპირისაგან. მაასის მარცხენა მხარეს, არტილერია მარჯვედ მოქმედობს. მდ. მარჯვენა ნაპირზე, ტიომონის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელთა მოქმედება შევაჩერეთ.

მთელი ღამის განმავლობაში, შენაუს მიდამოებში არტილერია ჰმოქმედობდა.

**პარიზი.** საღამოს ოფიციალი. შამპანში, ტაგიურეს მიმართულებით, გერმანელებმა ხელთ იგდეს ჩვენი თხრილები, მაგრამ მალე დავიბრუნეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე ევოკურის და მატანკურის უბნებში, გვეილი ყალიბის ზარბაზნები ამუშავდა. გერმანელთა მზადება „304“ სიმაღლესთან ჩვენმა არტილერიამ შეაჩერა.

**ჰავრი.** ბელგეთის ცნობა. ასპარეზზე სრული სიწყნარეა.

**რომი,** იტალიის შტაბის ცნობა. ადიჯე და ბრენტის შუა მტერმა მიაღწია სანგრებს და საალყოდ გამაგრებულ ადგილებს. წინააღმდეგობამ ფრიად ენერგიული სახე მიიღო. გუშინდელ დღიდან ჩვენმა ჯარმა საკმაოდ წაიწია. ლაგარინოს და ვალარსის ღელეში, არტილერიის მოქმედებამ უკიდურესობამდე მიაღწია. მალგაცუმის ახლოს თხრილები დავიჭირეთ.

პოზინის-ასტიკოს შუა, აზიაგოს მთაზე, მოპირდაპირეთა სანგრები ვიგდეთ ხელთ. ჩვენ დავიჭირეთ არსის სამხრეთი გრეხილი, და მივაღწიეთ სასტიკად გამაგრებულ რასტის, ინტეროტოს და მუზგლავის მთის სამხრეთის გრეხილს. კოლომბარის მთასთან ჩვენი ჯარი ჰალმარარის ღელეს მიუახლოვდა. ბრენტაში და ასპარეზის სხვა ადგილებში მდგომარეობა უცვლელია. ზემო ბუტაში, ფრაიკოფელის მიდამოში, რამდენიმე რედუტი ჩავიგდეთ.

მდინარე იზონცოზე არტილერია მოქმედობდა. ჩვენ დავატყვევეთ 3553 მეომარი, 7 აფიცერი და 2 ტყვიისმფრქველი დავლად წამოვიღეთ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის ასპარეზი.**

სარწმუნო წყაროების მიხედვით. რიგის მიდამოებში, გერმანელებმა შემოტევა განაახლეს, მიუხედავად იმისა, რომ ქარიშხალისებურ ცეცხლს, სითხეს და ბოლს ხმარობდნენ, გერმანელებმა მიზანს ვერ მიაღწიეს და დროებით შეჩერდნენ. გერმანელები ძველებურად მჭიდროდ შეჯგუფებული მიდიოდნენ რუსებზე, რის გამოც დიდად დაზარალდნენ. საზოგადოოდ. გერმანელთა მოქმედებას, ასპარეზზე არავითარი ცვლილება არ მოუხდენია. რუსეთის ასპარეზზე და კერძოდ კი დვინის მიდამოებში, სულ ასე გაგრძელდება, სანამ ვერდენის საქმე არ გადასწყდებაო.

დღეს, გერმანეთის შტაბში აზრების შეჯახებაა. კრონპრინცი მოუწოდებს გერმანელთ მედგრად იბრძოლონ ვერდენთან სახელისათვის, ხოლო ჰინდენბურგი კი სრულიად უმწეობას განიცდის და ყოველდღე თხოულობს რუსეთის ასპარეზზე ჯარების გაგზავნას. შტაბის საქმე აირია და ერთი მიზნის განსახორციელებლად, მეორე მიზანი მსხვერპლად უნდა შეიწიროს.

საზოგადო დასკვნად ვიტყვით, რომ გერმანელებს არ შეუძლიათ ერთდროულად, ვრცელის საზომით აწარმოვონ შემოტევა.

რაც შეეხება კავკასიის ასპარეზს, ახლო კვირეში, არავითარ სერიოზულს მოქმედებას არ უნდა მოველოდეთ მესოპოტამიის პაპანაქების გამო, სადაც სიცხე ეხლა 60 გრადუსამდე აღწევს. (რ. ს.)

„ინდეპ. რომ“ სწერს: რუსეთის შეტევა დასავლეთის ასპარეზზე დროებით შეჩერდა. ეს არც ისეა საკვირველი, რადგანაც მილიონიან ლაშქარს არ შეუძლია მუდმივი მოძრაობა. გარდა ამისა, სამხრეთ ასპარეზზე გერმანელებმა საკმაო ძალას მოუყარეს თავი.

„ჟურნალ ბალკანს“-ის ცნობით, გერმანელებმა, რუსეთის ასპარეზზე გროდნოს მიდამოებიდან 30.000 ჯარისკაცი გამოგზავნეს. პოლესიელ ავსტრიის ჯარის ორი მესამედი გალიცია - ბუკოვინაშია გაგზავნილი. ამასთანავე იტალიის ასპარეზიდანაც დიდძალი ჯარი გამოგზავნეს.

ნაერთო რიცხვით, გერმანელ-ავსტრიელებმა რუსეთის ასპარეზზე 200.000 მეომარი გადმოიყვანეს.

**ლვოვის დაცვა.**

ბუქარესტიდან „ბირჟ. ვედ.“-ის საკუთარს კორესპონდენტს ატყობინებენ:

„უნივერსალ“-ის ცნობით, 6 თიბათვეს საღამოს, სეპედინიდან ლვოვში გაიგზავნა მე-8 საპიორთა პოლკის ორი ბატალიონი. აგრეთვე არტილერიის პოლკი 26 ზარბაზნით და 6 მორტირით.

7 თიბათვეს აქ მოვიდა ორი მატარებელი დაჭრილებით.

ქვემო დუნაიზე მომქმედ ავსტრიელ გემებს ნაბრძანები აქვთ ზემო დუნაისკენ გაემართონ.

**კრევოსთან.**

ხუთი დღის სიჩუმის შემდეგ, კრევოს მიდამოებში კვლავ ახმაურდა ზარბაზნები. ომის ქარცეცხლმა მოიცვა სმირნო - ვიშნევის არემარენი. თვითეულ საარტილერიო ბრძოლის შემდეგ გერმანელებს სასტიკი იერიშები მიაქვთ რუსთა სიმაგრეზედ.

ბოლო ხანებში ასპარეზის ყველა ადგილებში გერმანელებმა დიდად გაძლიერეს მზვერავთა რაზმები

**იტალია.**

რომიდან დეპეშით იტყობინებიან: საააგენტო სტეფანის სიტყვით იტალიელთა ნაღმოსნები ღამე პირანოს მიუახლოვდნენ (ტრიესტის ყურესთან). ერთი ნაღმოსანთაგანი ნავთსადგურში შეცურდა. მალე ნაღმოსნები შეამჩნიეს და საშინელი სიძლიერით ზარბაზნები დაუშინეს. ნაღმოსნებიც უპასუხებდნენ და შინ უვნებლად დაბრუნდნენ.

**იტალიელთა გამარჯვება.**

ტრენტინოსთან იტალიელთა ჯარის გამარჯვებამ მცხოვრებთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. რომი დროშებით არის მორთული. სამხედრო წრეებში ამ გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ და იმედს გამოსთქვამენ, რომ ავსტრიელებს მალე იტალიის საზღვრებიდან განსდევნიან, რადგანაც ჯარის მარცხენა წვერს იტალიელები გარშემორტყმას უქადიან. მთავარი შტაბი იტყობინება: ავსტრიელები დაპყრობილ ადგილებს სტოვებენ და უკან იხევენ. იტალიელები დარწმუნებულნი არიან, რომ ავსტრიელებს მხოლოდ სიმაგრეებს შეუძლიანთ თავი შეაფარონ.

იტალიელთა გამარჯვებას მორალურ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს, ავსტრიის მთავრობა არ ჰმალავს იტალიელთა დროებით გამარჯვებას.

**ავსტრიელთა მზადება**

ბუქარესტიდან იტყობინებიან: 6 თიბათვეს სეპედინიდან ლვოვში საპიორთა მერვე პოლკის ორი ბატალიონი გაგზავნეს. ლვოვშივე გაიგზავნა სათადარიგო ჯარი. ზარბაზნების მხრივაც ლვოვი უზრუნველ ჰყვეს. მოსაშველებლად გაგზავნეს 30 მძიმე ზარბაზანი, მათ შორის ექვსი 12 დიუმიანია. როგორც მზადებიდან სჩანს, ლვოვის მდგომარეობა უზრუნველყოფილი არ არის და შესაფერ ზომებსაც ხმარობენ.

**ავსტრიელები რუმინეთის საზღვრებზე.**

„უნივერსალი“ იტყობინება: ავსტრიელები რუმინეთის საზღვრებისაკენ დიდ მზადებაში არიან. მათ ალიონის მთაზე და ვერჩიროვკაზე ზარბაზნები დასდგეს. ეს ზარბაზნები წინად იტალიის ასპარეზზე ჰქონდათ.

**საბერძნეთი**

ვენიზელოსმა „დეილ. მაილის“ კორესპონდენტთან ლაპარაკის დროს სიხარული გამოსთქვა იმის შესახებ, რომ საბერძნეთი მტკიცე გზას დაადგა მოკავშირეთა მიმართ. მოკავშირეთა ულტიმატუმმა, სთქვა ვენიზელოსმა,— დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერძნებზე. ხალხს შეუძლიან თავისუფლად ამოისუნთქოს, რადგანაც აღადგინეს კონსტიტუციას. ვენიზელოსი თანახმაა ახალ პალატაში თავისი კანდიდატურა წამოაყენოს.

**გერმანელები საბერძნეთის შესახებ**

„ბერლინ. ტაგებლ.“ სწერს: საბერძნეთის მეფემ აღუთქვა ახალი არჩევნები, ამის გამო მოკავშირენი იმედით აღივსნენ, რომ ვენიზელოსი მართველობას სათავეში მოექცევა. მაგრამ მოკავშირენი შეიძლება შესცდნენ, იქნებ ბერძნებმა მათ ახალი ნობათი მოუმზადონ?

# დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

**რუსეთის ასპარეზზე დნესტრისა და პრუტის შუა საარტილერიო ბრძოლაა.**

—

**მდ. ჩერნოვის და ჩერნიავის შუა რუსებმა წინ წაიწიეს. რუსებმა ერთი დღის განმავლობაში 221 აფიცერი და 10.285 ჯარისკაცი დაატყვევეს.**

—

**კავკასიის ასპარეზზე ერჯინჯანის და ბაღდადის მიმართულებით რუსებმა ოსმალთა იერიშები მოიგერიეს.**

—

**შამპანში მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა. აქ ფრანგებმა ცოტათი წინ წაიწიეს.**

—

**გერმანელებს მკაცრი იერიშები მიაქვთ ტიომონზე.**

—

**იტალიის ასპარეზზე ავსტრიელები უკან იხევენ. იტალიელები წინსვლას განაგრძობენ.**

კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებულ იქნება „ბრძოლის ველზე“ ნაპოლეონის ბრძოლის დროიდან, გლ. დარჩიაშვილის უკანასკნელი სურათი, ალ. ყიფშიძე, (ა. ფრონელი) მემუხიკე ირაკლი ჯაბადარი, ომში მოკლული სიკო ბრეგვაძე, თუშხევსურთა ტიპები და სხვა. ლექსები კოტე მაყაშვილისა და შიო მღვიმელისა. მოთხრობა ვალ. შალიკაშვილისა „სევდის ჰანგები“—თ. იანელისა.

# ახალი ამბავი

✦ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ** 16 თიბათვეს ფეხზე ადგომით პატივი სცა თავისი წევრის ალ. თ. ყიფშიძის ხსოვნას. ამასთანავე საბჭომ 100 მანეთი გადასდვა, რომელიმე საზოგადო საქმისათვის, რომელსაც დამკრძალავი კომიტეტი საჭიროდ სცნობს განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად. აგრეთვე გადაწყვეტილ იქმნა სამძიმარი გამოეცხადოს განსვენებულის ნათესავებს. შემდეგ, ნიშნად პატივისცემისა განსვენებულისადმი, საბჭოს სხდომა დაიხურა.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** პეტროგრადიდან უკვე გამომგზავრებულა.

✦ **სამეურნეო ბანკის საბჭომ** 16 თიბათვეს ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ ალ. ყიფშიძის ხსოვნას და დაადგინა მთელი შემადგენლობა საბჭოსი დაესწროს განსვენებულის პანაშვიდს და დაკრძალვას. შემდეგ საბჭოს სხდომა დაიხურა ნიშნად პატივისცემის განსვენებულისადმი.

✦ **ალექს. ყიფშიძის დაკრძალვა** დღესაა დანიშნული.

✦ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ ალ. ყიფშიძის ხსოვნას და დაადგინა დაესწროს განსვენებულის პანაშვიდს და დაკრძალვას. შემდეგ სხდომა დაიხურა ნიშნად პატივისცემისა განსვენებულისადმი.

✦ **საეკლესიო მუზეუმის** გამგე კომიტეტის სხდომა 16 თიბათვეს მოხდა ეპ. ანტონის თავმჯდომარეობით. დადგენილ იქმნა მუზეუმ შენობა სიონის კარიდამოს გასამშვენიერებლად აღებულ იქმნეს და განძეული გადატანილ იქმნეს ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეის განსაკუთრებულ ოთახებში. დღეს საგანგებოდ არჩეული კომისია ეპ. ანტონის მეთაურობით დაათვალიერებს ამ ბინას.

✦ **მომხმ. საზოგ. კავშირი.** ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი სთხოვს თავის წევრებს, რაც შეიძლება მოკლე ხანში შემოიტანონ დამატებითი საპაიო გადასახადი. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Верійскій спускъ, № 12. Закавказскому Союзу потребитель. О-въ.

✦ **თბილისის ქართულ გიმნაზიაში თავისუფალია ორი შტატის მასწავლებლის ადგილი:** რუსული ენისა და სიტყვიერებისა და ქართულისა. საჭიროა ორივე მასწავლებელს ჰქონდეს სპეციალური უმაღლესი განათლება. მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ გიმნაზიის გამგეს.

✦ **ექსკურსია.** მორიგი ექსკურსია ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა გაიმართება კვირას, 19 თიბათვეს. მარშრუტი ექსკურსიისა: სადგური მცხეთა—„მაგნიტის“ სადგური, წმ. ნინოს სამლოცველო, არამახის მონასტერი, არამახის ციხე. ვისაც მონაწილეობის მიღება სურს, თბილისის სადგურზე უნდა გამოცხადდეს 19 თიბათვეს და ბილეთი აიღოს მცხეთამდე იმ მატარებელზე, რომელიც მცხეთისაკენ მიდის დილის 9 საათზე (თბილისის დროით). საჭირო საგზალი ყველას თან უნდა ჰქონდეს. ექსკურსია იმავ დღეს დაბრუნდება თბილისში. მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლიან.

✦ **მომღერალი ვასილ შარაშიძე.** დღეს, 18 თიბათვეს, „ახალ კლუბში“ გაიმართება სიმფონიური კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ახალგაზდა მომღერალი ვას. ეგ. შარაშიძე. ბ-ნ შარაშიძეს თბილისის საზოგადოება პირველად ნახავს დღეს სცენაზე, რადგან იმან წელს დაამთავრა მოსკოვის ფილარმონიული სკოლა, სადაც იგი სწავლობდა ცნობილ პროფესორის ლ. დ. დონსკოის ხელმძღვანელობით. შარაშიძე ბარიტონია და ის, როგორც სოლისტი, შეასრულებს რამდენიმე ადგილს ოპერიდან „ლაკმე“.

✦ **მომხმარებელი საზოგადოება.** თბ. გუბერნატორის წინაშე დიღმელებმა შუამდგომლობა აღძრეს მომხმარებელ საზოგადოების დაარსების შესახებ სახელად „იმედი“.

✦ **ჯარიმა.** მაგარ სასმელების ვაჭრობისათვის თბილისის გუბერნატორმა ს. არუთინოვი 2 ათას მანეთით დაჯარიმებულ იქმნა, ხოლო გ. ხელაშვილი 1500 მან. ან 2 თვის ციხით.

✦ **ირ. ევდოშვილის დამკრძალავ ბიუროს** სალიკვიდაციო კრება 16 თიბათვეს „ნაკადულის“ რედაქციაში შესდგა. შემოწირულება 4 მაისიდან 2 თიბათვემდე უდრის 2026 მან. 7 კაპ., ხარჯები 521 მ. 94 კ., წმინდა თანხა 1504 მან. და 13 კაპ. დარჩა, რომელიც ბანკში იქმნა შეტანილი. ბიურომ დაადგინა: **რადგანაც ფულის შემოწირულება კვლავ გრძელდება, ბიურო თანამდებობას თავს არ ანებებს.** ენკენისთვეში ბიუროს კიდევ ექმნება უკანასკნელი კრება. შემოწირულება მიიღება „ნაკადულის“ რედაქციაში ქ-ნ ნინო/ნაკაშიძის სახელობაზე. შემომწირველთა სიას ბიურო ამ მოკლე ხანში გამოაქვეყნებს.

✦ **შაბიამანი კახეთისათვის.** 16 თიბათვეს, დილის საათზე,10 თბილისში ჩამოვიდა არხანგელსკიდან 10 ვაგონი ინგლისური შაბიამანი და 16/17 თიბათვეს, ღამის 2 საათზე, იგი გაგზავნილ იქმნა კახეთის რკინის გზით თელავს. ეს ის შაბიამანია, რომელიც თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავმჯდომარემ ბ-ნმა ლუკაშვილმა შარშან შემოდგომაზე დაიკვეთა ლონდონში. თელავში გაიყიდება ეს შაბიამანი ფუთი არა უძვირეს 17 მანეთისა. გზაში კიდევ არის 6 ვაგონი, რომელსაც ამ დღეებში მოელიან თბილისში.

**ბათუმი.**

9 თიბათვეს აკაკი[illegible] მკურნალის ბ. გ[illegible]ბით ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. განყოფილებამ გამართა აკაკის საღამო ადგილობრივ საკრებულოში. სცენაზე დადგეს ცოცხალ ყვავილებით შემკული აკაკის სურათი. ი. ი. ფერაძემ ვრცელი მოხსენება წაიკითხა აკაკის ლირიკის შესახებ, რომელშიაც შეეხო ხალხურ პოეზიის შეკრების და ბეჭდვის საკითხს. წარმოადგინეს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა „პატარა კახის“ მეორე მოქმედება და „კინტოს“ მეორე მოქმედება. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. წაიკითხეს აკაკის ნაწერებიდამ ი. ფერაძემ „გამზდელი“, ხოლო იერემია გულისაშვილმა ნაწყვეტები „თორნიკე ერისთავიდამ“, ბ-ნმა ჯიბილმა ბევრი აცინა ხალხი გურულ სცენების წარმოთქმით. ხალხი ბლომად იყო. წმინდა შემოსავალი გაეგზავნება ქართულ საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების გამგეობას აკაკის სახელობის ფონდისთვის.

**ტყვიავი (ქართლი)**

გვალვის გამო ჰირნახული და ყოველგვარი მოსავალი ხელიდან ეცლება უბედურ გლეხკაცობას. ყანები მთლად აჩალავდა. ოჯახში მუშა ხელი აღარ მოიპოვება. ეხლა საქონელსაც უპირებენ წაყვანასო.

# მეფუტკრეობის კურსები

(სამღვდელო პირთათვის)

ამ ზაფხულს მეაბრეშუმეობის სადგურში ეს მეორეთ გაიხსნა მეფუტკრეობის კურსები. პირველი კურსები როგორც ყოველ წლივ ხდება ხოლმე მსურველთათვის იყო, ეს მეორე კურსები კი სასულიერო წოდებამ მოაწყო. კრებაზედ მოწვეულნი არიან სამღვდელო პირნი და სოფლის მასწავლებელნი სამრევლო სკოლისა. ბევრი ამნაირი კურსები მოაწყვეს რუსეთში. რამ გამოიწვია ეს კურსები ადვილათ მიხვდებით, თუ თვალს გადაავლებთ ეკლესიებში სანთლის სიმცირეს და საგრძნობლად გაძვირებას.

ეხლანდელმა ომმა ნათელი მოჰფინა ყველაფერს, გვეგონა სანთელი რუსეთში თავსაყრელი იყო, მაგრამ სხვა სახელმწიფოდან კი მოგვქონებია! მარტო გერმანეთს წელიწადში ხუთი მილიონი ფუთი სანთელი შემოჰქონებია რუსეთში. დღეს, რასაკვირველია, ომის წყალობით სანთელს ვერსაიდგან ვერ შემოვიტანთ. ომის შემდეგაც ფიქრათა გვაქვს ყველაფერში იოლათ შინვე წავიდეთ. აი ამ იოლათ წასვლის საჭიროებამ სანთელსაც მიაქცია ყურადღება, რადგან ეს საჭიროება სანთლის ცოტათ თუ ბევრათ ეკლესიასა და რელიგიასთან არის დაკავშირებული; ამიტომ სამღვდელოება სცდილობს სანთელი შინ დაიმუშავოს, ზრუნავს ყველა მღვდელი და დიაკვანი მეფუტკრედ გამოიყვანოს, ხელი შეუწყოს მათ. უწინ დამაბრკოლებელ მიზეზად სამსახურსა სთვლიდნენ: „დღეს აქა ვართ ხვალ იქ! აბა, გული როგორ დავუდოთ მეფუტკრეობასო“, ვერ ბედავდნენ ხელი მოეკიდნათ ამნაირი დარგისთვის. დღეს კი მთავრობა ავალებს მათ ეს შეასრულონ. დღეს იძულებულნი არიან ხელი მოჰკიდონ ამ ფრიად სიმპატიურს დარგს მრეწველობისას. კარგი მეფუტკრეობა ოჯახს დიდს სარგებლობას აძლევს. სოფლის გლეხი დღეს გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მეფუტკრეობას. გონივრულად მოწყობილმა (ჩარჩოიან სკებით) მეფუტკრეობამ და მის სასწაულებმა გლეხის ყურადღება მიიპყრო. მას აინტერესებს ეს ახალი რამ სასწაული, მაგრამ ვერ გაუბედნია რომ დაიწყოს სხვის დაუხმარებლად, არ იცის როგორ მოუაროს. მღვდელი თავისი შტატით ახლოა გლეხთან: ეკლესიაშიც, სახლშიც, შინ და გარედ. გლეხს სჭირდება ესეთი მახლობელი, რომ აჩვენოს, აუხსნას და გააგებინოს. ბევრს წუწუნსაც მოაშლევინებს მღვდელს მრევლის შემოუსვლელობაზე. ამავე დროს ზაფხულში ბევრს მცონარა უსაქმოს გადააჩვევს ზედმეტ ძილისაგან. აი აქ შეიძლება ითქვას ბრძნული ანდაზა: „დათვს ეძებდნენ და სამეფო ჰპოვესო“, შეიძლება სანთლის საჭიროებამ წმიდა გზაზედ დაგვაყენოს და ოდესღაც განთქმული მეფუტკრეობა კვლავ აჰყვავდეს ჩვენს ტურფა სამშობლოში!

რაც შეეხება კურსებს, თავისთავად მსმენელებს ვერაფერს შესძენს. მაგრამ დაახლოვებით მაინც გაეცნობიან გონივრულ მეფუტკრეობის უმთავრეს პრინციპებს, რომ საძირკველი ჩაუყარონ მომავალ მეფუტკრეობას. შინ ვარჯიშობაც გვირგვინად დაედგმება კურსებზე შეძენილს ცოდნას.

კურსებზე ლექციებს კითხულობს

მღ. ჯალიაშვილი, რაღაც მიზეზებით მღვ. ჯალიაშვილისთვის ლექციების საკითხავად ცოტა დრო მიუციათ.

გულახდილად უნდა ვაღვიარო, რომ ჯალიაშვილი ლექციებს გასაგებად და მარტივად კითხულობს.

მსმენელნი მეტ წილად ქართველნი არიან. არიან აგრეთვე ბერძნები და რამდენიმე რუსი.

**ივ. დალაქიშვილი.**

# შიმშილი სოფლად

**სოფელ უანდაურიდან** (სიღნაღის მაზრა) გვატყობინებენ: აუტანელ მდგომარეობაში ვიმყოფებით. შიმშილით ვიხოცებით, ცოლშვილი გვიტირის და საშველი კი არსაიდან სჩანს. ნეტა გარშემო სოფლებს მაინც მოეპოვებოდეს რამ საკვები, კიდევ იოლას წავიდოდით, მაგრამ ყველანი ერთნაირ გაჭირვებას განვიცდით.

წერილით რა უნდა გაგრძნობინოთ, თქვენ თვითონ უნდა მობრძანდეთ და ნახოთ ხალხის საცოდაობა.

ამას წინად ცოტაოდენი პური მოიტანეს და გამოგვიცხადეს: ჩაეწერენით და გაგინაწილებთო.

იმედი გვქონდა რომ პური უნდა მიგვეღო, მაგრამ როცა გახსნეს და რიგება დაუწყეს, სულ ის ხალხი იღებდა, რომელთაც შინ ძველი პური კიდევ ბევრი აქვთ.

მამასახლისს შევჩივლეთ: ბავშვები შინ შიმშილით გვეხოცება, ყურადღება მოგვაქციეო,—მამასახლისმა უნუგეშო სიტყვით მოგვიშორა.

ხალხო, შიმშილით ამოვწყდებით! გვიშველეთ რამე!

ჯარში გაწვეული გლეხები: **ვანო კანკაშვილი, სანდრო გიგოშვილი და სანდრო კომიაშვილი.**

# ღარიბ მოწაფეთა

**შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება**

**14 თიბათვე**

რადგან პლ. ი. გვერდწითელი კრებაზე ვერ მოვიდა, კრებას თავმჯდომარეობს კომიტეტის წევრი თავ. დ. ჯორჯაძე.

**მასწავლებლების თხოვნა.**

თავმჯდომარე კითხულობს მასწავლებლების განცხადებას, რომ კრების მიერ მათთვის გადადებული ფული ერთდროულ დახმარების სახით კომიტეტმა გაანაწილოს. აგრეთვე ქალთა სკოლის მასწავლებლებიც თხოულობენ, რომ მათი წილი ფული კომიტეტმა გამოჰყოს და თითონვე გაუნაწილოს მათ.

შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნა იმ განმარტებით, რომ ვისაც შედარებით დიდი ჯამაგირი ეძლევა, იმას ამ დასახმარებელი თანხიდან ნაკლები მიეცეს, ხოლო ვინაც მცირე ჯამაგირს ღებულობს, მეტი მიეცეს.

**წესდების შესწორება.**

**თავმჯ. დ. ჯორჯაძე.** ეხლანდელ კრების განსახილველ და გადასაწყვეტ საგანთა სიაში აგრეთვე შეტანილია საზოგადოების წესდების შესწორება-შევსება. მაგრამ რადგან ეს საქმე მჭიდროდ არის დაკავშირებული გიმნაზიის მართვა-გამგეობისა და სწავლა-აღზრდის ძირითად რეორგანიზაციის საკითხთან, ხოლო ეს უკანასკნელი საკითხი კი საგანგებო კომისიამ უნდა განიხილოს, ამიტომ ეს საქმეც იმავე კომისიას უნდა მიენდოს. სანამ კომისია მუშაობას არ დაამთავრებს, წესდების შეცვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ ეს საკითხი ჯერ-ჯერობით უნდა მოიხსნას.

კრება ეთანხმება თავმჯდომარეს და ადასტურებს, რომ აღნიშნული საკითხი ჯერ კომისიამ განიხილოს.

**ქალთა სამეურნეო სასწავლებელი.**

წარსული წლის კრებამ მიანდო გამგე კომიტეტს შეემუშავებინა მოხსენება ქალთა სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისა და ეხლანდელ კრებისათვის წარედგინა განსახილველად. კომიტეტს ეს საკითხი განუხილავს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსთან ერთად, როგორც სპეციალ ორგანოსთან. აღნიშნულ ორ ორგანოს შეერთებულ კრებას შემდეგი დადგენილება გამოუტანია: რადგან სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად ამ თავითვე საჭიროა არა ნაკლებ 100,000 მანეთისა, ხოლო მის შესანახად ყოველ წლიურად არა ნაკლებ 90,000 მანეთისა, და ამ ფულის გაღება ამ ჟამად არ შეუძლიან საზოგადოებას, ამიტომ დაარსდეს პრაქტიკული სამეურნეო კურსები, სადაც ქალთა გიმნაზიის კურს-დამთავრებულები 2—3 წლის განმავლობაში პრაქტიკულად შეისწავლიან სასოფლო მეურნეობის რომელიმე დარგს, მაგალითად, მებოსტნეობას, მებაღეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას და სხვა.

**ბ-ნი ივ. ჯავახიშვილი** იწონებს აღნიშნულ დადგენილებას და თან ამატკიცებს, რომ საჭიროა ქალთა სასწავლებელი სრულ უფლებიან გიმნაზიად გახდეს, როგორც ეს შარშანდელმა კრებამ დაადგინა, მაგრამ ოქმში არ ყოფილა შეტანილი.

კრებამ ერთხმად მოიწონა აღნიშნულ საგნის შესახებ გამგე კომიტეტის მოხსენება და აგრეთვე ბ-ნ ჯავახიშვილის აზრი და გამგე კომიტეტს მიანდო, სპეციალისტთა დახმარებით, დაწვრილებით გამოარკვიოს საკითხი პრაქტიკულ კურსების დაარსების შესახებ, რომელშიაც სასოფლო სასწავლებლებში კურს დამთავრებულ ორივე სქესის ახალგაზდათ ნება ექნებათ სწავლისა. მომავალ საზოგადო კრებას წარმოუდგინოს საამისო მოხსენება. ამ მოხსენებაში უნდა იყოს აგრეთვე პრაქტიკული კურსების დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა.

**ქალთა პროგიმნაზიის სამზრუნველო საბჭო.**

შარშან საზოგადო კრებამ დაავალა გამგე კომიტეტს შეემუშავებინა დებულება შესახებ იმისა, თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს გამგე კომიტეტსა და ქალთა პროგიმნაზიის სამზრუნველო საბჭოს შორის. კომიტეტს ვერ მოუსწრია დებულების შემუშავება. ეხლა ლაპარაკი აღიძრა, თუ ვინ შეიმუშაოს ეს დებულება. ზოგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ საკითხის გამორკვევა იმ კომისიას მივანდოთ, რომელმაც გიმნაზიის რეორგანიზაციის შესახებ მოხსენება უნდა შეიმუშაოს.

კრებამ დაადგინა დებულების შემუშავება მიენდოს ისევ გამგე კომიტეტს, რომელიც თავის მოხსენებას ქალთა სკოლის სამზრუნველო საბჭოს მოხსენებასთან ერთად ამავე საგნის შესახებ წარმოუდგენს წლიურ საზოგადო კრებას მომავალ წელს.

**სწავლის ფულის პატიება.**

როგორც გამგე კომიტეტმა მოახსენა კრებას, გიმნაზიის მოწაფეებზე ვალად ყოფილა დარჩენილი რამდენიმე წლის სწავლის ფული, სულ 2.568 მ, 14 კაპ. ამ ფულის მიღების იმედი არ არის, რადგან მოვალეებს არა თუ ძველი ვალის გადახდა არ შეუძლიათ, ახალი სწავლის ფულის შემოტანაც უჭირთ.

კრებამ ერთხმად დაადგინა, ვალი ამ მოწაფეებს ეპატიოთ.

**ქ-ნ კოტიაშვილის ანდერძი.**

თავმჯდომარემ წაიკითხა განსვენებულ ეფემია კოტიაშვილის ანდერძი, რომლითაც მას თავისი ქონება დაუტოვებია საზოგადოებისათვის იმ პირობით, რომ ქართულ გიმნაზიაში 2 სტიპენდია დაარსდეს მისსა და მისი მეუღლის კასიანეს სახელზე. გამგე კომიტეტს ნაანდერძევიდან უკვე მიუღია 5000 მანეთი და მოსალოდნელია, რომ კიდევ რამე ერგოს საზოგადოებას.

კრებამ ერთხმად დაადასტურა ანდერძის მიღება და ერთხმად დაადგინა მადლობა გამოუცხადოს ქ-ნ კოტიაშვილის მახლობელ-ნათესავებს.

**სამღვთო სჯულის სწავლება ქართულად.**

**ბ-ნი სპ. ბაქრაძე.** შარშანდელს კრებაზე გადაწყდა, რომ სამღვთო სჯულის ქართულად სწავლება შარშანვე უნდა დაწყებულიყო საგიმნაზიო კლასებში. ეს დადგენილება არ შესრულებულა და რა არის ამის მიზეზი?

გიმნაზიის დირექტორი ბ-ნი **ალ. ჰიჰინაძე.** სახელმძღვანელოები არ იყო და ამიტომ დადგენილების განხორციელება შეუძლებელი დარჩა. მომავალ სამოსწავლო წლიდან დადგენილება განხორციელდება იმ კლასებში, რომლებისთვისაც სახელმძღვანელოები შედგენილია.

კრება ამ განმარტებით დაკმაყოფილდა.

**ქ-ნ ტურიაშვილის ნაანდერძევ 2500 მან. აღდგენა.**

**თავმჯდომარე დ. გ. ჯორჯაძე.** ერთ-ერთ კრებაზე სურვილი გამოითქვა, რომ ტურიაშვილის ნაანდერძევი 2.500 მანეთი, რომელიც დანიშნულებას ასცდა და გიმნაზიის სხვა საქმეებზე დაიხარჯა, აღდგენილ იქმნას თავისი სარგებლით, ნება მიეცით გამგე კომიტეტს, ეს წინადადება სისრულეში მოიყვანოს და ნაანდერძევი ფული თანდათან აღადგინოს გიმნაზიის თანხებიდან.

**ბ-ნი ი. კაჩუხოვი.** ეს ფული რაზედ დახარჯეს და როგორ ბ-ნმა მდივანმა და თავ. პ. თუმანიშვილმა, გამორკვეული არ არის. ამიტომ ის უნდა გადაიხადოს ან ბ-ნმა მდივანმა, ან პ. თუმანიშვილმა.

**ბ-ნი ი. რატიშვილი** ეთანხმება წინანდელ ორატორს და თან დასძენს თუ აღნიშნული პირები არ გადაიხდიან ანუ საზოგადო კრება არ დაავალებს მათ ამის გადახდას, მაშინ საზოგადოების წევრებმა უნდა იკისრონ ფულის გასტუმრება.

უკანასკნელი წინადადება ჭკუაში არ მოსდის კრების ზოგიერთ მონაწილეთ და აცხადებენ,—ჩვენ რა მოვალე ვართ ფული გადავიხადოთო.

**ბ-ნი სპ. ბაქრაძეც** იმ აზრის არის, რომ ფული უნდა გადაიხადოს ან მდივანმა ან თუმანიშვილმა, რადგან მათ ის ფული არ მოახმარეს თავისს დანიშნულებას. ორატორი ამასთანავე დასძენს: ფული გიმნაზიის საჭიროებაზეა დახარჯული და ამ დახარჯვას არავითარი სისხლის სამართლის ხასიათი არ აქვსო.

**ბ-ნი არ. ჯაჯანაშვილი.** აქ ბევრს საღერღელი აქვს აშლილი როგორმე ჩირქი მოსცხონ უდანაშაულო ადამიანებს, თორემ მტკიცება იმისა, რომ მდივანმა და თუმანიშვილმა გიმნაზიის ფულები შესჭამესო, შეუძლებელია. განსაკუთრებით შეუძლებელია ეს მას შემდეგ, რაც უკვე ამავე კრებაზე აშკარად გამოირკვა სრული სიყალბე ასეთი ცილის წამებისა.

**ბ-ნი ი. ბარათაშვილი** გაკვირვებულია ბ-ონ კაჩუხოვის სიტყვებით. ორატორს შეუძლებლად მიაჩნია კაჩუხოვის სიტყვები ვინმემ ირწმუნოს მას შემდეგ, რაც აშკარად დამტკიცდა, რომ მდივანმა ფულები კომიტეტის თავმჯდომარეს თავ. პ. თუმანიშვილს გადასცა, თუმანიშვილს-კი საკუთარი ფული 7.500 მანეთი ზედ დაუხარჯავს. მაშასადამე რა მოსაზრებით და რა ანგარიშით არიან ისინი მოვალენი ჩვენს წინაშე?

**ბ-ნი გ. რცხილაძე.** საკითხი ამ საგნის შესახებ გადაწყვეტილად მიმაჩნია და ამიტომ ამაზე ლაპარაკი ხელმეორედ უადგილოა. აქ მხოლოდ ფონდის აღდგენაზე უნდა იყვეს ლაპარაკი, რადგან თუ ფონდი არ ავღადგინეთ და დანიშნულებას არ მოხმარდა, ტურიაშვილის ნათესავები ფულს უკანვე მოითხოვენ და ამის სრული უფლებაც ექნებათ. თუ ვისმეს იმ ფულების შესახებ ხელ-ახლა სურს არსებითად კამათის განახლება, განცხადება წარუდგინოს კომიტეტს.

**ბ-ნ კაჩუხოვს** კიდევ სურს ლაპარაკი, მაგრამ თავმჯდომარე ნებას არ აძლევს. მაშინ ორატორი აცხადებს, რომ ზოგიერთებს აზრათ აქვთ „პროკურორი“ ჩარიონ საქმეშიო თუ... თავმჯდომარე ისევე უკრძალავს ლაპარაკს. კაჩუხოვი თხოულობს, რომ მისი სიტყვები ოქმში იქნას შეტანილი.

**ბ-ნი გ. რცხილაძე.** ნუ გვაშინებთ „პროკურორის“ ხსენებით! აქ არაფერია საპროკურორო და ვერც ვერავის შეაშინებთ.

ხმაურობაა. თავმჯდომარეს სთხოვენ კამათი მოსპოს და საქმეს დასასრული მიეცეს.

**თავ. მ. დ. ჭავჭავაძე** სთხოვს თავმჯდომარეს შეეკითხოს კრებას: დარწმუნებულია თუ არა კრება, რომ ტურიაშვილის ნაანდერძევი 2.500 მან. გიმნაზიის საჭიროებაზე დაიხარჯა?

თავმჯდომარემ ეს თხოვნა შეასრულა და კრებამ, ერთხმად წინააღმდეგ მხოლოდ ბ-ნ კაჩუხოვისა, აღიარა, რომ აღნიშნული 2.500 მანეთი გიმნაზიის საჭიროებაზე იყო დახარჯული.

შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით კრებამ, ერთხმადვე მხოლოდ ბ-ნ კაჩუხოვის წინააღმდეგ, დაადგინა, რომ ტურიაშვილის ნაანდერძევი 2.500 მანეთი თავისი %-ით თანდათან აღდგენილ იქმნას გიმნაზიის თანხებიდან.

სხვებთან ერთად ორივე წინადადებას ხმა მისცა გუბერნიის მარშალმა თავ. ვ. ნ. აფხაზმაც.

**კომიტეტისა და საგანგებო კომისიის წევრები.**

**თავმჯდომარე დ. ჯორჯაძე.** ასარჩევია კომისიისა და გამგე კომიტეტის წევრები. კომიტეტში ეხლანდელ წევრებიდან დარჩებიან თავ. კ. ნ. აფხაზი და თავ. მ. დ. ჭავჭავაძე. დანარჩენები თანამდებობას ვსტოვებთ და ჩვენს ადგილას სხვები უნდა აირჩიოთ. ასარჩევია აგრეთვე ერთი წევრი ნაცვლად თავ. მაჩაბლისა, რომელიც ომში იმყოფება და შეძლება აღარ აქვს კომიტეტში იმუშაოს.

**თავ. კ. ნ. აფხაზი.** აქ თავმჯდომარემ მეც მახსენა. მე ვრჩები როგორც თავად-აზნაურთა მარშალი, შემდეგ თავ. აფხაზი შეეხო კომისიას და განაცხადა, რომ ამ კომისიაში, რომელსაც გამგე კომიტეტმა უნდა უხელმძღვანელოს, შევლენ წარმომადგენელნი თავად-აზნაურობისა, პედაგოგთა საბჭოს მოწვეული მცოდნე პირებიო.

**ბ-ნი სპ. ბაქრაძე.** კომიტეტის ყველა წევრები უნდა დარჩნენ, გარდა მაჩაბლისა, რომელიც ომშია და ამის გამო, მუშაობა არ შეუძლიან კომიტეტში. არავის უფლება არ აქვს, ეხლა თანამდებობა მიატოვოს და გაიქცეს.

**თავ. დ. ჯორჯაძე, თავ. გ. მაღალაშვილი და ი. ლორთქიფანიძე** თავიანთ მხრივ და აგრეთვე თავ. დ. ჯორჯაძემ ბ-ნ **გვერდწითელის** მინდობილობით გადაჭრით უარს აცხადებენ დარჩენაზე.

**ბ-ნი ალ. ჰიჰინაძე, ბ-ნი პარკაძე, ირ. რამიშვილი** და სხ. სთხოვენ ისევ დარჩნენ.

აღნიშნულ ორატორებს ახლებიც ხმას აძლევენ.

**თავ. კ. ნ. აფხაზს** განსაკუთრებით საყურადღებოდ და სასიამოვნოდ მიაჩნია თხოვნა პედაგოგიურ პერსონალის წარმომადგენელთა, რომელთანაც განსაკუთრებული მჭიდრო დამოკიდებულება აქვს გამგე კომიტეტს. პედაგოგები თუ სთხოვენ მათ დარჩენას, ცხადია მიტომ, რომ ისინი იცნობენ და აფასებენ კომიტეტის მოღვაწეობას. ორატორი ამიტომ დარწმუნებულია, რომ კომიტეტის წევრები შეიწყნარებენ თხოვნას. თავადი აფხაზი თავის მხრივაც უერთებდა სხვების სურვილს და აგრეთვე სთხოვს კომიტეტის წევრებს თანამდებობა არ დასტოვონ.

იქ მყოფმა თავ. ჯორჯაძემ, თავ. მაღალაშვილმა და ბ-ნმა ლორთქიფანიძემ მადლობა გადაუხადეს კრებას და განაცხადეს დავრჩებითო, ხოლო ბ-ნ პ. გვერდწითელთან მოლაპარაკება კრების სახელით იკისრა თავ. კ. ნ. აფხაზმა.

16 თიბათვე.

**არჩევნები.**

კრება გაიხსნა საღამოს 9 საათ. 10 წ. თავ. დ. ჯორჯაძის თავმჯდომარეობით.

წინა 2 დღის კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ და რამდენიმე წვრიმალ საგნების გადაწყვეტის შემდეგ კრება შეუდგა არჩევნებს.

გამგე კომიტეტის წევრად, ნაცვლად თავ. მაჩაბლისა, ერთხმად არჩეულ იქმნა ვ. რ. ყიფიანი.

სარევიზიო კომისიის წევრებად ერთი წლის ვადით ერთხმადვე არჩეულ იქმნენ: ალ. ქართველიშვილი, ბ-ნი გ. რცხილაძე და დ. დ. კარიჭაშვილი.

კრება სავსებით დამთავრდა ღამის 11 საათზე.

# წერილი სოხუმიდან

უპურობის და უშაქრობის გამო ხალხი ძლიერ შეწუხებულია. აუარებელი ხალხი გროვდება ფურნეების კარებთან, მაგრამ ხელ-ცარიელნი უკანვე ბრუნდებიან.

პურის ფქვილის მაგივრად, ფურნეებში სიმინდის ფქვილს აცხობენ. იმ დროს, როდესაც უპურობის და უშაქრობის გამო ასეთი ამბებია და ხალხი ერთი მეორეს ეცილება—ეხჩუბება (იყო მაგალითები მუშტი-კრივისა), ზოგიერთ ვაჭრებს გადამალული აქვთ პურის ფქვილი, შაქარი და ჩუმ-ჩუმათ ჰყიდიან თავიანთი ჯიბის საკეთილდღეოთ.

ამ დღეებში უნდა მომხდარიყო ქალთა სექციის კრება, რომელსაც უნდა განეხილა „ფინჯანი ჩაი“-ს საქმეები, მაგრამ გადამეტებული სიცხეების გამო კრება არ შესდგა. აქა-იქ კანტი-კუნტად—ჩუმად „ფინჯან ჩაი“-ზე რაღაც უკანტროლობაზე და უანგარიშობაზე ლაპარაკობენ და ძლიერ სასურველია ამის გამო კრების მოწვევა დროზე მოხდეს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ფინჯანი ჩაი“-ში მოსამსახურე ქალიშვილები განსაკუთრებით „პორუსკობენ“ და კარგაც რომ ეცადოთ, ქართულს ვერ წამოაცდევინებთ.

— არ შეიძლება, ქალაქის თვითმართველობას არ ვუსაყვედუროთ ქალაქის ბიბლიოთეკის უყურადღებობა. სხვა ბევრ უწესრიგობას, რომ თავი დავანებოთ, ის მაინც მიუტევებელია, ქართული წიგნები სანთლით რომ ეძიო ვერ იპოვეთ.

ქალაქის ხმოსანთა შემადგენლობა ისეთი ჭრელია, რომ მათგან ეს სრულებით არ არის გასაკვირი და ვერც მოვთხოვთ, მხოლოდ ძლიერ საწყენია, ამ გარემოებას ქალაქის მოურავი (ნ. თავდგირიძე) რატომ არ აქცევს ყურადღებას?!

პრ. ახკანელი.

# მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზედ

ფშავეთი იწყობა მაღაროს კარის საზოგადოებიდან ს. თელავიდან ორ წყლამდე. აქ უკანა ფშაველის არაგვს ერთვის ხევსურეთის წყალი, აქედან კი იწყობა ხევსურეთი ვიდრე ანატორიის აკლდამამდე *) (საზღვარია ქისტებისა.) ამ აკლდამების ზევით მთაზედ ხევსურები ლოცულობენ თავიანთ ხატს, ანატორის წმ. გიორგის სახელით. ეს მთა ჰყოფს პირიქითა ხევსურეთს (შატილის ხეობას), არდოტის ხეობისგან. ამ მთაზედ იცის მრავალი ჯიხვი და ირემი სადაც ვაჟა-ფშაველას არა ერთხელ უვლია აქ სანადიროდ თავის მეგობარ ჰონქარა ჰიჩჰარაულთან ერთად. ხოცდნენ ნადირს და ნანადირევს აჰკიდებდნენ ხოლმე ჰინქარას ჰორაკას. აღსანიშნავია, რომ ამ ხატის პატივისაცემად თვით მთაზედ ხევსური არა ჰკლავს ნადირს ის სდარაჯობს ნადირს და როდესაც ნადირი გამოვა ტყიდან და ჰალისკენ დაეშვება წყლისთვის, მაშინ მოჰკლავს. ვაჟაც ასე იქცეოდა. ჰონქარა დიდი მეგობარი იყო ვაჟასი, მიუხედავად იმისა რომ ის სცხოვრობდა პირიქით ს. კისტანს (შატილის საზოგ.) კვირაში თუ ერთხელ არა თვეში ორჯელ მაინც უთუოდ უნდა ჩასულიყო ვაჟასთან, ესაუბრა მასთან საქართველოზედ, რაც საერთოდ ხევსურს ძლიერ აინტერესებს. მით უმეტეს რუს-იაპონიის ომის დროს ჰონქარა მისი ხშირი სტუმარი იყო. იმ დროს ხევსურთ-ქისტეთში გავრცელდა ხმა: „რუსობა აღარ არისო“, დალია რუსები იაპონიის ტყვიამაო და სხვა... დაიწყო ქისტების მიერ თავდაცემა ხევსურ-ფშავეთზედ და თუშებზედ. ამავე დროს ქისტებმა შემოუთვალეს ფშავ-ხევსურეთს: კომლზედ სამ-სამი ცხვარი უნდა იხადოთ კულუხად ჩვენს სასარგებლოთ, თუ მუდამ დაწიოკება არ გინდათო. ამაზედ ისედაც ქისტებზედ აღელვებულმა ჰონქარამ ლექსი დასწერა და გიმოუგზავნა ვაჟას და თან დააყოლა: „თოფის პატრონებზე იზრუნეო“. მოგვყავს აქვე ეს ლექსი.

ეხლა იანვარი დამდგარა
ხანია ლექსის ბეჭვდისა
ლექსი იანვარს ნათქვამი
ნიადაგ არ მოსცდებისა.

ჰონქარამ მაშინ დათვალოს,
როდესაც დაითვრებისა.
ლექსებსა ფშაველთ-ხევსურთა
ქისტებს ვინ ეუბნებისა.

შევიყრებოდით ჩვენ იქა
საც მაღაროს-კარს ვეტყვითა,
სამსამ ცხვართ ქისტები მოგვთხოვს
მიმცემ არავინ ჰყავთ ერთისა.

რაზიკაშვილი მოვიდეს,
არ ვიცით რა იქმნებისა:
ჯან, ვაჟავ, რაზიკაშვილო,
ლუკას ვერავინ სჯობისა!

მხარზედ თოფი სდევს ლუკასა,
წელთ ხმალი მოუხდებისა.
„ნუ მივცემთ შავსა ცხვანსა“,
ნიკო [1]) მკვდრებს იწირებისა. [2])

მოდი გავმაგრდეთ ვაჟებო,
გატეხით რა იქნებისა,
შატილს გავმართოთ ციხენი,
ქორიც ვერ გადახტებისა.

შიგ ისხდან ფშაველ-ხევსურნი,
ბერდენკეები ტყვრებისა,
ხელმწიფეს მივცეთ თხოვნაი:
თოფებიც გვინდა, ხმლებიცა.

სისხლის წყალმ უნდა გარეცხოს
ქისტის ხიდი და გზებიცა.
დავითხა ოქრო მჭედელსა
სახეში ეცინებისა
გვერდ უწყავ იარაღები:
როს დავკრათ?—ეუბნებისა.
მაგის მეტს აღარას ვიტყვი,
ეს შენი გამარჯვებისა.“

**ვეფხვი.**

*) ამ აკლდამაში იმარხებოდნენ უწინ ხევსურნი.

[1]) ბაჩანა. [2]) იფიცება.

## თეატრი [illegible]

**სალამო-მეჯლისი.** დღეს სახალხო სახლში მსახიობი **ზ. გოშელაური** გამართავს დიდ სალიტერატურო-სამუსიკო იუმორისტულ საღამოს, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: **ხარაჯიშვილი**, გრიშაშვილი, ზარდალიშვილი და სხ. ი. გრიშაშვილი წაიკითხავს ლექსს თ. ა. სუმბათაშვილის ნადიმზე თქმულს. აგრეთვე „ზღაპარი ჰამაკში“.

—

შაბათს, 18 თიბათვეს, ხარფუხის საზოგადო კლუბში ქართველ მსახიობთა მიერ, წარმოდგენილი იქნება „უბედური დებიუტი“ და „სოფლის ფერშალი“. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

**შემოწირულება**

ბ-ნმა პლატონ ზენიაშვილმა შესწირა 10 მანეთი **ქართველ მოღვაწეთა** აგარაკის ასაშენებელ ფონდს ახლად გარდაცვალებულის პატარა კოწია კაკაბიძის სამახსოვროდ.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ მეთაურში მესამე სვეტში სწერია: ეროვნულ **პოლიტიკის** სისუსტე დიდათ აფერხებს; უნდა იყოს: ეროვნული **კაპიტალის** სისუსტე დიდათ აფერხებს.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 | „ 58 | „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | . 7 | „ 58 | „ საღ. |

**შემთხვევით**

**იყიდება მამული**

**38 დესეტინა**

შეიძლება 6 დესეტინა ცალკე სადგურ კსანკადან სამის ვერსის მანძილზე მტკვრის პირად 4 დესეტინა დუღაბიანი (ცემენტიანი) დანარჩენი სახნავ-სათესი. ვალი აქვს 2337 მან. ნაღდის მიცემა უნდა 1300 მან.

ამას გარდა იყიდება **თბილისიდან** ექვსი ვერსის მანძილზე მამული

**67 დესეტინა**

კოჯორის გზაზე, სოფელ **წავკისთან.** ოთხი დესეტინა არის ბაღი. **ორსართულიანი სახლი თერთმეტ** ოთახით თავის მოწყობილებით. ეს მამული დაყოფილია ნაწილ ნაწილად. ფასი 40000 მანეთი.

**მისამართი:** მიხეილის ქუჩა № 97 მაქსიმე გაჟონია.

1—226—1

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეძველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილთ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**პაიუსნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.